

ციფრული საგანმანათლებლო თამაშების პლატფორმები

თამაშებით სწავლება (Game-Based Learning, GBL) წარმოადგენს სწავლების მეთოდს, რომელიც აერთიანებს სწავლის პროცესს და თამაშის ელემენტებს. ეს მიდგომა ზრდის მოსწავლეების მოტივაციას და ჩართულობას, რთული კონცეფციების უკეთ აღქმას, აუმჯობესებს ინფორმაციის დამახსოვრებას და სხვ.

საგანმანათლებლო თამაშების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ციფრული საგანმანათლებლო თამაშები. ქვემოთ მოცემულია ციფრული საგანმანათლებლო თამაშების პლატფორმები.



1. Kahoot! (<https://kahoot.com/>)

Kahoot! არის პოპულარული პლატფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა, მასწავლებლებმა შექმნან ვიქტორინები, ტესტები და სხვადასხვა სახის თამაშები. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც კლასში, ისე დისტანციური სწავლის დროს. მოსწავლეები მარტივად მონაწილეობენ, იყენებენ სმარტფონებს, ტაბლეტებს ან კომპიუტერებს. Kahoot!-ის ინტერაქტიულობა და კონკურენტუნარიანი ელემენტები ღიდად უწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობას.

2. Quizizz (<https://quizizz.com/>)

Quizizz ტესტების და ვიქტორინების შექმნისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ მას დამატებული აქვს ფუნქცია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად გადის ტესტებს. თამაშის ელემენტები, როგორიცაა ქულების დაგროვება და დრო დამატებით მოტივაციას აძლევს მოსწავლეებს.

3. Classcraft (<https://www.classcraft.com/>)

Classcraft პლატფორმა ასახავს როლურ თამაშებს (RPG) სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან პატარა თამაშებს, სადაც მოსწავლეები, როგორც გმირები, იღებენ ქულებს, ასრულებენ დავალებებს და გადიან „დონეებს“ სწავლის პროცესში. ასეთი მიდგომა ქმნის უნიკალურ გარემოს, სადაც ბავშვები სწავლობენ თანამშრომლობას და მიზნების მიღწევას.

4. Minecraft: Education Edition [Get Minecraft for Your Classroom | Minecraft Education](#)

Minecraft-ის საგანმანათლებლო ვერსია გამოიყენება სხვადასხვა საგნებში, განსაკუთრებით მათემატიკაში, მეცნიერებაში და ისტორიაში. პლატფორმა აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, შეასრულონ დავალებები და შექმნან სხვადასხვა ობიექტები ვირტუალურ სამყაროში. თამაშის სტრუქტურა ხელს უწყობს შემოქმედებით აზროვნებას და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას.

5. Prodigy- prodigygame.com/main-en/

Prodigy არის მათემატიკური თამაში, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება სხვადასხვა მათემატიკური საკითხების ათვისებაში. თამაშის პროცესში მოსწავლეები ეჯიბრებიან ერთმანეთს ან AI-ს, პასუხობენ კითხვებს და ავითარებენ მათემატიკურ უნარებს.

6. Scratch - [Scratch - Imagine, Program, Share](#)

Scratch არის ვიზუალური პროგრამირების პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შექმნან საკუთარი თამაშები, ანიმაციები და პროგრამები. მასწავლებლებს

შეუძლიათ ინტეგრირება Scratch-ის თამაშების გამოყენებით პროგრამირების სწავლების პროცესში. Scratch-ის გამოყენება ინტერაქტიულ გარემოში, სადაც თამაშის ელემენტები სწავლას ემატება, განსაკუთრებით საინტერესოა ბავშვებისთვის.

7. Quizlet - [Your Sets | Quizlet](#)

Quizlet გთავაზობთ გაფართოებულ რესურსებს, რომლებიც მოიცავს ფლეშქარდებს, და სხვა სასწავლო აქტივობებს. მასწავლებლებს და მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან და გამოიყენონ უკვე არსებული მასალები სხვადასხვა საგნებისთვის.

8. Tynker - [Coding For Kids, Kids Online Coding Classes & Games | Tynker](#)

Tynker არის პროგრამირების სწავლების პლატფორმა, რომელიც ითვალისწინებს თამაშის ელემენტებს. მოსწავლეებს შეუძლია შექმნან საკუთარი თამაშები და ანიმაციები. Tynker-ი ხელმისაწვდომია სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებსთვის.

9. Code.org- [Code.org](#)

Code.org პლატფორმა მოიცავს ინტერაქტიულ კურსებს, თამაშებს და პროექტებს, რომლებიც დახმარებას უწევენ მოსწავლეებს პროგრამირების საფუძვლების სწავლაში.

10. National Geographic Kids- [National Geographic Kids](#)

National Geographic Kids მოიცავს ინტერაქტიულ თამაშებს გეოგრაფიაში, ბუნებაში და მეცნიერებაში. პლატფორმა აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას შეასრულონ სხვადასხვა მისიები, გაანალიზონ ფაქტები და მიიღონ ახალი ინფორმაცია საინტერესო და სახალისო ფორმატში.